მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება №71
2022 წლის 07 ნოემბერი
ქ. მარტვილი

მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ს/კ: 41.18.37.164 ქონების, სახელმწიფოს საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის თაობაზე მერისთვის თანხმობის მიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის ,,ე" პუნქტის „ე.ე" ქვეპუნქტის, 108 - ე მუხლის შესაბამისად მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. მიეცეს თანხმობა მარტვილის მუნიციპალიტეტის მერს, განახორციელოს მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ს/კ: 41.18.37.164 ქონების, სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემა.
2. მიღებული განკარგულების შესახებ ეცნობოს მარტვილის მუნიციპალიტეტის მერს.
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში სენაკის რაიონულ სასამართლოში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით (მის.: ქ. სენაკი, შოთა რუსთაველის ქ. №247).

საკრებულოს თავმჯდომარე: ლევან სურმავა